



- [მთავარი](#)
- [მულტიმედია](#)
- [ბლოგები](#)
- [ჩვენ შესახებ](#)
- [დაგვიკავშირდით](#)
- [ახალი ამბები](#)
- [პოლიტიკა](#)
- [ეკონომიკა](#)
- [სამართალი](#)
- [კონფლიქტი](#)
- [საზოგადოება](#)
- [სპორტი](#)
- [კულტურა](#)

18/10/2013 14:11



WWW.DROA.GE

თავისთავადი საზოგადოების ცენტრი



Like 15

3

Tweet 2

ახალი ამბები

არასამთავრობოები: პრემიერის და ენერჯეტიკის მინისტრის პოზიცია ხუდონჰესზე ავტორიტარული პრაქტიკის გაგრძელებაა

18.10.2013

არასამთავრობოები საქართველოს პრემიერ-მინისტრის და ენერჯეტიკის მინისტრის განცხადებებს „ხუდონჰესის“ აშენებასთან დაკავშირებით, კომპეტენტურ ორგანიზაციებსა და მოსახლეობაზე ზეწოლად აფასებენ.

„ეს არის იმ სამარცხვინო და ავტორიტარული მმართველობისთვის დამახასიათებელი პრაქტიკის გაგრძელება, რომელიც საქართველოში უკანასკნელი 20 წლის მანძილზე გამოიყენებოდა - როცა

ქვეყნის მმართველი პირველი პირები, ყოველგვარი ეკონომიკური, სოციალური თუ გარემოსდაცვითი გათვლების გარეშე, ერთპიროვნულად იღებდნენ გადაწყვეტილებას ამა თუ იმ მსხვილმასშტაბიანი პროექტის განხორციელებაზე, კომპეტენტურ სახელმწიფო ორგანოებს კი, უბრალოდ მოეთხოვებოდათ ამ გადაწყვეტილებების შესრულება - ნებართვების გაცემა“, - ნათქვამია განცხადებაში.

არასამთავრობოთა თქმით, მიუღებელია „ხუდონჰესის“ პროექტისადმი კრიტიკულად განწყობილი პირების და ორგანიზაციების მიმართ რეპუტაციის შემლახავი დაუფარავი კამპანია, რომ თითქოს ისინი საქართველოსადმი მტრულად განწყობილი ქვეყნების აგენტები და განვითარების მოწინააღმდეგეები არიან.

„ასეთი გამონათქვამების რიგს მიეკუთვნება საქართველოს პრემიერ-მინისტრის მიერ 16 სექტემბრის განცხადება, სადაც მან პირდაპირ მოუწოდა საზოგადოებას, არ მოუსმინონ და არ გაითვალისწინონ პროექტის ოპონენტების მოსაზრებები. რითაც წარმოაჩინა ის, რომ მისთვის მიუღებელია ნებისმიერი შენიშვნა თუ მოსაზრება, რომელიც მცირედ მაინც ეწინააღმდეგება მის მიერ უკვე მიღებულ გადაწყვეტილებას. ამჟამად, „ხუდონჰესის“ პროექტი გადის ბუნებრივ და სოციალურ გარემოზე ზემოქმედების შეფასების პროცესს, რომელსაც ატარებს კომპანია და სწორედ ამ პროცესის ნაწილია საჯარო კონსულტაციები საზოგადოებასთან. სამწუხაროდ, ეს პროცესიც კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევით მიმდინარეობს“, - აღნიშნულია განცხადებაში.

არასამთავრობოთ თქმით, შემაშფოთებელია ასევე ისიც, რომ დღემდე არ არის გამოქვეყნებული პროექტის განსახლების პროგრამა, რაც წარმოადგენს როგორც მსოფლიო ბანკის, ისე ადამიანის უფლებათა დაცვის სფეროში მოქმედი საერთაშორისო კანონმდებლობის მოთხოვნათა დარღვევას. მათ დაუსაბუთებლად მიაჩნიათ მტკიცება პრემიერის და ენერჯეტიკის სამინისტროს ხელმძღვანელი პირების მხრიდან პროექტის სტრატეგიული მნიშვნელობის შესახებ.

ერთობლივ განცხადებას ხელს 23 არასამთავრობო ორგანიზაცია აწერს ხელს.

Like 15

3

Tweet 2